ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-75. 75231516**
თარიღი:**31/05/2023**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შეასხებ“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

   ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ საწირეში, ჩაის ფაბრიკის დასახლებაში მდებარე ავარიული შენობის (ს/კ 39.03.35.221) დემონტაჟის სამუშაოების საპრივატიზებო საფასური 25000 ლარი შემცირდეს 40%-ით და განისაზღვროს 15 000 ლარით;

   ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ სამტრედიაში მდებარე ავარიული შენობის (ს/კ 39.03.35.222) დემონტაჟის სამუშაოების საპრივატიზებო საფასური 25000 ლარი შემცირდეს 40%-ით და განისაზღვროს 15 000 ლარით;

   დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს, განახორციელოს ფასების ცვლილება ამ განკარგულების პირველი მუხლის შესაბამისად.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას (ი. ლომთაძე).

3. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი